პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 133
(3363)

1967 წ.
11
ივლისი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
28-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება სამშობლოს ფრთებს!

9 ივლისს მოსკოვის დომოდედოვოს აეროდრომზე მოეწყო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საავიაციო პარადი, რომელიც იქცა ჩვენი საჰაერო ფლოტის ძლიერების მკაფიო დემონსტრაციად.



მრავალრიცხოვან მაყურებელს ცაში თავიანთი ოსტატობა უჩვენეს უმაღლესი პილოტაჟის ოსტატებმა, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენებმა, მსოფლიო რეკორდსმენებმა.

პარადის ცენტრალური მოვლენა გახდა დიდი დესანტი, რომელიც დაეშვა აეროდრომის მინდორზე. ათასზე მეტმა პარაშუტისტმა დატოვა სატრანსპორტო მანქანები.

სურათზე: დესანტის გადმოსხმა.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკის, ბ. ტრეპეტოვისა და ვ. ხუხლაევისა (საკდესი).

ვადამდე და გადაჭარბებით

თერჯოლის რაიონის სპორტკავშირმა 1 ივლისისთვის ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების წლევანდელი დავალება. ეს წარმატება ჩვენი მცირე წვლილი იქნება დიდი ოქტომბრის საიუბილეო ზეიმში.

ა. ჩარექიშვილი,
თერჯოლის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

დ. შანიძე და გ. კოჩიევი — „სოფიენზალში“

ვენა, 9 ივლისი. ავსტრიის მუშათა სპორტული კავშირის მიერ გამართულ ზეიმზე 16 ქვეყნის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ საბჭოთა სპორტსმენებიც. ერთ-ერთი დიდი დარბაზი — „სოფიენზალი“ ძალოსნებს დაეთმოთ. საბჭოთა ათლეტები მხოლოდ ოთხ წონით კატეგორიაში გამოდიოდნენ და, ბუნებრივია, გუნდური წარმატების იმედი არც უნდა ჰქონოდათ. და მაინც, ოთხიდან სამმა ძალოსანმა მოიხვეჭა I ადგილი.

გამარჯვებულთა შორის არიან საქართველოს სპორტსმენები დ. შანიძე (ქვემსუბუქი წონა) და გ. კოჩიევი (საშუალო წონა).

გ. კოჩიევი გვიან ღამემდე ებრძოდა შტანგას. მისი დიდი სურვილი იყო უნგრელი დ. ვერეშის მსოფლიო რეკორდის მოხსნა აკვრაში. მკერდზე აიტანა კიდეც სარეკორდო წონა (190,5 კგ), მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო. სამჭიდში კოჩიევმა 450 კგ (140+130+180) დააგროვა.

გაიმარჯვა ნაზაროვმაც (ქვესაშუალო წონა).

მეოთხე საბჭოთა ათლეტი უიანავი (მსუბუქი წონა) III ადგილზე გავიდა.

ოქროს 3 მედალი და... III ადგილი

ზ. ბერიაშვილი

შ. ლომიძე

სტამბოლი, 10 ივლისი. გუშინ აქ დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ამ უაღრესად საინტერესო ტურნირის გადამწყვეტ შერკინებებს 35 ათასი მაყურებელი დაესწრო. როგორც ცნობილია, საჭიდაო სარბიელი „მითხატ-ფაშას“ სტადიონის საფეხბურთო მინდორზე იყო გაშლილი.

ვარაუდი გამართლდა: ძირითადი ბრძოლა სსრ კავშირის, ბულგარეთისა და თურქეთის გუნდებს შორის გაჩაღდა. ყველას აჯობეს მასპინძლებმა, რომლებმაც 37 ქულა მოაგროვეს. II ადგილზე გავიდნენ ბულგარელები (35 ქულა) და მხოლოდ მესამეზე — საბჭოთა მოჭიდავეები (29,5). ჩვენებს არც ოქროს სამმა მედალმა უშველა, ვინაიდან საბჭოთა ყულაბაში ძალიან ცოტა „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ აღმოჩნდა — სულ თითო მედალი.

ბრწყინვალედ იჭიდავა თბილისელმა ზ. ბერიაშვილმა (მსუბუქი წონა), რომელმაც შეინარჩუნა კონტინენტის ჩემპიონის სახელი. მას მხარი დაუმშვენეს მახაჩყალელმა ი. მახმურადოვმა (ქვესაშუალო) და კიეველმა ბ. გურევიჩმა (საშუალო).

ვერცხლის მედალი მოიპოვა ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა, თბილისელმა შ. ლომიძემ (ქვემძიმე), ხოლო ბრინჯაოსი — ტურნირის დებიუტანტმა, კიეველმა ვ. საუნინმა (მძიმე წონა).

დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ მასპინძლები: მ. ესენჯელი (უმჩატესი) ჰ. სევინჩი (მჩატე), ნ. ქაბანლი (ქვემსუბუქი), ა. აიკი (ქვემძიმე). მძიმე წონაში პირველი იყო ვ. დიტრიჰი (გფრ).

მჯობნის მჯობნი...

მონრეალი, 10 ივლისი. ტრადიცია დაირღვა: მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ზედიზედ რვაჯერ გამარჯვებული — სსრ კავშირის რაპირისტთა გუნდი ამჯერად იძულებულია ვერცხლის მედლებს შეეგუოს. მაგრამ, როგორც იტყვიან, მჯობნის მჯობნი არ დაილევა. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა რუმინელი მოფარიკავეები, რომლებმაც საუცხოოდ იასპარეზეს და პირველად მოიხვეჭეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

საბჭოთა რაპირისტები ჩვეულებისამებრ დამაჯერებლად გავიდნენ ფინალში, — ბოლოსწინა შეხვედრაში იაპონელებს დააყრევინეს ფარ-ხმალი. ფინალში ისინი ან პოლონელებს ხვდებიან ხოლმე, ან — ფრანგებს. ამჯერად კი ყველაფერი უჩვეულო იყო. ფინალური ბრძოლის ბედიც კი, კაცმა რომ თქვას, ერთბაშად გადაწყდა, როცა საკუთარ ძალაში ზედმეტად დარწმუნებულმა მ. მიდლერმა, გ. სვეშნიკოვმა, ვ. პუტიატინმა და ი. შაროვმა პირველი ხუთი ბრძოლა წააგეს. საერთო ჯამში გაიმარჯვეს რუმინელებმა — 9:6. ორ-ორი ბრძოლა მოიგეს პუტიატინმა და შაროვმა და მხოლოდ თითო — მიდლერმა და სვეშნიკოვმა.

III ადგილი წილად ხვდა პოლონელთა გუნდს (ნახევარფინალში წააგო რუმინელებთან), IV — იაპონელებს, V — ფრანგებს, VI — უნგრელებს.

• • •

მონრეალი, 10 ივლისი. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ესპადრონისტმა მ. რაკიტამ. რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა.

მთავარი პრიზები, 2 ჩემპიონი და 5 — ნაკრებში

ლენინგრადი, 10 ივლისი (**დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.**). აქ გაიმართა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ავტოსპორტში. ამ საინტერესო შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები: მათ მოიპოვეს 2 მთავარი ჯილდო — ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასი და საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივის პრიზი (ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორა).

პირად ჩათვლაში თავი ისახელეს შ. მამრიკიშვილმა და ვ. გლურჯიძემ — ისინი ჩემპიონები გახდნენ.

შეჯიბრების შემდეგ შედგა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელშიც საქართველოს 5 ავტომობილისტი შევიდა.

უკანასკნელი საათი!

◆ **მოსკოვი**, 10 ივლისი. **სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის პირველი ჩემპიონები გახდნენ მებაიდარენი: 500 მეტრზე „ერთიანებით“ მოასპარეზენი — ლ. პინაევა (ლენინგრადი) და ა. ტიშჩენკო (რსფსრ), ორმოსახმელიანებში — ვ. მოროზოვი და ი. სტაცენკო (უკრაინა), „ოთხიანებით“ 1000 მეტრზე გაცურვაში კი — მოსკოვის გუნდი.**

თბილისი — ბაქო

გუშინწინ თბილისში გაიმართა ამხანაგური საქალაქთაშორისო შეხვედრა რეგბიში: ადგილობრივი დინამოელები ეთამაშნენ ბაქოელებს.

სტუმრები ეს-ესაა იდგამენ ფეხს სპორტის ამ ვაჟკაცურ და რთულ სახეობაში, ამიტომ მათ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მასპინძლებს და დამარცხდნენ — 0:88.

ვ. სანეევი — მეორე

მოსკოვში გუშინწინ დამთავრდა ს. და გ. ზნამენსკების მემორიალი.

ამ საინტერესო ასპარეზობის მთავარი პრიზები მოიპოვეს: 5000 მეტრზე რბენაში — ალმაათელმა ლ. მიკიტენკომ (13.46,6), 1500 მეტრზე — ნორვეგიელმა ა. კველჰეიმმა (3.44,7), ხოლო 10 ათას მეტრზე — იაპონელმა კ. სავაკიმ — 29.28,4.

კვლავ გაგვახარეს სამხტომის საბჭოთა ოსტატებმა. მათ შორის საუკეთესომ — ა. ზოლოტარიოვმა 16,79 მ აჩვენა. II ადგილზეა სოხუმელი ვ. სანეევი (16,55 მ), ხოლო III — ვ. კურკჩევიჩი (16,53 მ).

ი. წოწკალაური — პირველი სენსაციის ავტორი

სპარტაკიადა ნიჩბოსნებმა გახსნეს

სსრ კავშირის IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის გახსნა წილად ხვდათ ბაიდარისა და კანოეს ოსტატებს. 9 ივლისს ხიმკის წყალსაცავის მზით აფერადებულ ზედაპირზე დასრიალებდნენ ნავები, რომელთა შეჯიბრებასაც ათასობით მაყურებელი ადევნებდა თვალს „დინამოს“ საწყალჯომარდო სადგურის საზეიმოდ მორთული ტრიბუნებიდან. ოღონდ ესაა, მათ ტაშით ვერ დააჯილდოეს საიუბილეო სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი — იმ დღეს მხოლოდ წინასწარი და ნახევარფინალური შეჯიბრებები გაიმართა.

კარგად აიღო სტარტი ახალგაზრდობამ. მაგალითად, სპარტაკიადის დებიუტანტმა, მცხეთელმა იური წოწკალაურმა ათას მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი ასპარეზობისას ნახევარფინალის გზა გადაუღობა მეხიკოში შარშანდელ წინასაოლიმპიადო შეჯიბრებაში გამარჯვებულს, თავის თანამემამულე ჯიმშერ ხოშბაევს. წოწკალაურმა (იგი 19 წლისაა) შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და ნიჩბოსანთა სტარტების პირველი სენსაციის ავტორის სახელი დაისაკუთრა.

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 500-მდე ნიჩბოსანი ჩაება სხვადასხვა ჯილდოსთვის ბრძოლაში. მათ შორის ბევრია ჩვენი პლანეტის უძლიერესი სპორტსმენი. მაგალითად, 500-მეტრიანი დისტანციის ფინიშთან პირველი მივიდა რსფსრ-ს გუნდის ოთხადგილიანი ბაიდარის ქალთა ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონები ნ. ლევჩენკო და მ. შუბინა.

ლევჩენკო სსრ კავშირის ხალხთა ყველა წინა სპარტაკიადის მონაწილეა. მათგან ორში მან ოქროს მედლები მოიპოვა. ოჯახის „ოქროს კოლექციას“ თავისი წვლილი შემატა ნადეჟდას მეუღლემ გრიგორიმაც. იგი ბოლო სპარტაკიადის ჩემპიონია. ახლა ცოლქმარი ერთად ჩამოვიდა მოსკოვს. ქმარი გემშემკეთებელი ქარხნის ზეინკალია და უკვე 12 წელია, რაც უსასყიდლოდ ხელმძღვანელობს ნიჩბოსნობის სექციას. ახლა ამ სექციაში 100-მდე ჭაბუკი და ქალიშვილი მეცადინეობს. მათგან თითქმის ნახევარი მონაწილეობდა რსფსრ-ს ხალხთა სპარტაკიადაში — რვამ სპორტის ოსტატობა მოიპოვა.

ი. სმირნოვი,
ბ. ხაჩკოვანიანი.
(საქდესის კორ.).

მოსკოვი.

მონდომებით, საქმიანად

საქართველოს მოჭადრაკეები უკვე კარგა ხანია ესტონეთის სააგარაკო ქალაქ პიარნუში ემზადებიან სსრ კავშირის IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის. მწვრთნელთა საბჭომ (მწვრთნელები: უფროსებისა — მ. შიშოვი, ბ. გურგენიძე, მოსწავლეებისა — ა. ბუსლაევი, გ. მაჭავარიანი) გეგმიანად ააწყო მუშაობა: მოჭადრაკეები ვარჯიშობდნენ და სხვადასხვა შეჯიბრებაშიც გამოდიოდნენ.

ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი და ი. ჩიქოვანი მონაწილეობდნენ ესტონეთისა და ლატვიის ოსტატთა ტურნირში, სადაც I-III ადგილები გაიყვეს ბ. გურგენიძემ, ა. არულაიდმა (ესტონეთი) და ი. პეტკევიჩმა (ლატვია) — 8,5:8,5 ქულა 13-დან.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი უფროსებისა და მოსწავლეთა გუნდების პაექრობამ. იგი ყაიმით დამთავრდა. აი, ზოგიერთი შედეგი: თ. ლომაია — ს. ჩეჩელიანი 0,5:1,5, რ. ჯინჯიხაშვილი — ე. უბილავა 1:1, ნ. გაფრინდაშვილი — გ. ვარდოსანიძე 1:1, ნ. ალექსანდრია — ც. კობაიძე 2:0, ე. კაკაბაძე — დ. ექვთიმიშვილი 1:1, ი. ჩიქოვანი — ვ. მეჩიტოვი 1:1.

გუნდის უკეთ დაკომპლექტების მიზნით მოეწყო რამდენიმე მატჩი. ქალებში მეორე დაფაზე თამაშის უფლებას ერთმანეთს ეცილებოდნენ საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, ოსტატი ე. კაკაბაძე, საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი და ლ. კოროშინაძე. I-II ადგილები ოსტატებმა გაიყვეს, ამ ორის შეხვედრა კი მოიგო კაკაბაძემ (1,5:0,5).

აი, როგორი შემადგენლობით იასპარეზებს სპარტაკიადაში ჩვენი გუნდი (6 ვაჟი, 1 ჭაბუკი, 2 ქალი, 1 გოგონა): ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, თ. გიორგაძე, ი. ჩიქოვანი, თ. ლომაია, ჯ. ბერაძე, ა. ბოკუჩავა, ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე, ნ. ალექსანდრია.

საქართველოს მოჭადრაკეები ახლა ესტონეთისა და ლატვიის ნაკრებ გუნდებთან საწვრთნელი შეხვედრისთვის ემზადებიან, 15 ივლისს კი მოსკოვის ახლოს განაგრძობენ წვრთნას.

კარგად ივარჯიშა მოსწავლეთა ნაკრებმაც. შეჯიბრებები არც მას დაჰკლებია. მაგალითად, გუნდმა შთამბეჭდავი ანგარიშით (13,5:3,5) მოუგო ესტონელებს.

გუნდის დაკომპლექტებას რამდენიმე შესარჩევი ორთაბრძოლა უსწრებდა. აი, ამ შეხვედრების შედეგები: ც. კობაიძემ მოუგო ნ. ხუბულურს (3:1), მ. სანაძემ—ჯ. გამყრელიძეს (5,5:4,5) და მ. აივაზიშვილმა — დ. ხარიტონაშვილს (3,5:2,5). მოსწავლეთა სპარტაკიადაში გუნდი ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ე. უბილავა, ს. ჩეჩელიანი, გ. ვარდოსანიძე, ე. კარკმაზოვი, ვ. მეჩიტოვი, მ. აივაზიშვილი, ც. კობაიძე და მ. სანაძე.

დღეს ყირიმის გზებზე

დღეს სიმფეროპოლში დიდი სპორტული ზეიმია — მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი ველოსიპედისტები (17 გუნდის 102 მონაწილე) საზეიმო ვითარებაში აიღებენ სსრ კავშირის IV საიუბილეო სპარტაკიადის მრავალდღიანი ველორბოლის სტარტს. ისინი სიგრძე-სიგანეზე გადასერავენ ყირიმის ულამაზეს მიდამოებს.

1949 წლიდან მოყოლებული, საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა დღემდე არ ჩატარებულა ასეთ რთულ და რელიეფურად მრავალფეროვან ტრასაზე. რაც შეეხება წინა 3 სპარტაკიადის მონაწილეებს, ისინი მოსკოვ—ხარკოვის ლარივით გაჭიმულ გზატკეცილზე ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

მართალია, ორჯერ ველორბოლა მაინც რთულ ტრასებზე მოეწყო: 1962 წელს იმიერკარპატეთის უკრაინაში, ხოლო 1964 წელს — ყირიმში. მაგრამ მონაწილეთა მაშინდელი შემადგენლობა, განსაკუთრებით კი 1964 წლისა, წლევანდელივით ძლიერი არ იყო. 3 წლის წინ მოწინავე ველოსიპედისტები მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდნენ და საკავშირო მრავალდღიან ველორბოლაში არ გამოსულან.

წლეულს ყირიმის გზებზე საბჭოთა ველოსპორტის მთელი „ნაღები“ იასპარეზებს, ისინიც კი, ვინც მსოფლიო პირველობისთვის ემზადება. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ველოსიპედისტები ა. დოხლიაკოვი და გ. ურბანოვიჩი, მიუხედავად ველოსპორტის საკავშირო ფედერაციის უარისა, ბელორუსიის გუნდის შემადგენლობაში გამოვლენ.

ყირიმის ველორბოლის ტრასა 11 ეტაპისგან შედგება და 1550 კმ-ს მოიცავს. ეტაპების საშუალო სიგრძეა 150-160 კმ, ხოლო მათგან ყველაზე გრძელისა — 203 კმ. თითქმის ყოველდღე სპორტსმენებს დასაძლევი ექნებათ გრძელი და მომქანცველი მონაკვეთები. ჩვენ აქ ყველა ამ მონაკვეთს არ ჩამოვთვლით, აღვნიშნავთ მხოლოდ აი-პეტრის 26-კილომეტრიან უღელტეხილს და იალტის 22-კილომეტრიან დაღმართს.

ყირიმის სამთო ეტაპები, დიდი ფიზიკური ძალისა და გამძლეობის გარდა, სპორტსმენებისგან გამბედაობას და, რაც მთავარია, კარგ ტექნიკურ მომზადებას მოითხოვს. ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ ველოსიპედისტებს 30-გრადუსიან სიცხეში მოუხდებათ ასპარეზობა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა შერჩევითი ტურნირიც იქნება ჯერ მსოფლიო ჩემპიონატის, ხოლო შემდეგ ოლიმპიური თამაშების წინ. ასე რომ, ასპარეზობის დამთავრების შემდეგ საგრძნობლად შეიცვლება ნაკრების ახლანდელი სახე.

გუნდებმა უკვე დაამთავრეს საწვრთნელი ვარჯიში ყირიმის სხვადასხვა ქალაქში და 9 ივლისს სიმფეროპოლს ჩავიდნენ.

მონაწილეთა რეალურ სიძლიერეზე დღესდღეობით ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან ბოლო მრავალდღიანი ველორბოლის შემდეგ მთელი 3 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა და მაინც, უძლიერესთა შორის უნდა დავასახელოთ ესტონეთის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ლენინგრადის გუნდები. მათ ბევრად არ ჩამორჩებიან მოლდავეთის, ლატვიის, ლიტვის, მოსკოვის, ტაჯიკეთისა და ყაზახეთის ველოსიპედისტები.

საქართველოს ნაკრების შესაძლებლობებზე ლაპარაკი არც ისე იოლია. 1964 წელს ჩვენ საერთოდ არ მიგვიღია მონაწილეობა საკავშირო მრავალდღიან ველორბოლაში (უკრაინა), რადგან წინა წლის სამარცხვინო კრახის შემდეგ ნაკრები დაიშალა.

ჩვენს ახალგაზრდულ შემადგენლობას (ვეტერანთაგან გუნდში მხოლოდ გ. კეხბა დარჩა) ძნელი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. საქართველოს ველოსიპედისტები ყირიმს 2 ივლისს ეწვივნენ და სიმფეროპოლიდან 120 კილომეტრის მოშორებით, სოფელ სუდაკში დაბანაკდნენ. სწორედ აქ ჰქონდათ მათ ბოლო საწვრთნელი ვარჯიში. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ გ. კეხბა, გ. ყაველაშვილი, შ. ჯულაშვილი, ს. ვრიშკევიჩი, ა. ჯღარკავა, ვ. სიდაროვი, ო. სუჯაშვილი, ა. ჩერნოუსოვი, ი. კრასავცევი. ნაკრების მწვრთნელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ა. გუნიამ მათგან შეადგინა გუნდი, რომელიც დღეს აიღებს სტარტს.

მ. ბარამია.
საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე.
სიმფეროპოლი.

კარგი პირი უჩანს

საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები კისლოვოდსკში ემზადება სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის. მზადების გეგმით გათვალისწინებულია ამხანაგური შეხვედრა ლატვიის ნაკრებთან, რომელიც 14-15 ივლისს გაიმართება რიგაში.

ჩვენი მძლეოსნები დღეში ორჯერ გამოდიან სარბენ ბილიკებზე, სატყორცნ და სახტომ სექტორებში. ამ დღეებში გაიმართა საწვრთნელი შეჯიბრება და რამდენიმე მაღალი შედეგიც იქნა ნაჩვენები. მაგალითად, რ. ჩუბინიძე 725 სმ-ზე გადახტა სიგრძეზე, ხოლო თ. მდივანი სიმაღლეზე — 206 სმ-ზე.

ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა მაყვალა თათარაშვილმა, რომელმაც ბირთვი 14,52 მეტრზე ჰკრა.

კარგ ფორმაშია გ. გუდაშვილი. მან პირველსავე ცდაზე ბადრო 58,36 მეტრზე ტყორცნა, რაც საქართველოს ახალი რეკორდია.

შუბის მტყორცნელმა კ. გორძამაშვილმა ტრავმის მიუხედავად 76,68 მ აჩვენა. ეს საუცხოო შედეგია. ამ სახეობაში თავი გამოიჩინა ც. ლიპარტელიანმაც—46,58 მ. ამ გოგონას მწვრთნელი ნ. ლობჟანიძე რიგაში ახალ რესპუბლიკურ რეკორდს გვპირდება.

ბადროს მტყორცნელი ქალებიდან ვ. კომაროვამ 42,34 მ აჩვენა. შემდეგ იგი შეცვალა ლ. ტულუშმა, რომლის ნატყორცნი ბადრო 49,58 მეტრზე დაეცა. ლამარას შედეგი გააუმჯობესა ი. მხეიძემ — 50,42 მ.

საწვრთნელ შეჯიბრებებში ჩვენს სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდა კისლოვოდსკელი თინათინ ლობჟანიძეც. მან ბადრო 47,44 მეტრზე ტყორცნა.

მძლეოსნები მარტო წვრთნას როდი უთმობენ დროს. მოვაწყვეთ საშეფო კონცერტი, გასულ კვირას კი საბჭოთა მეურნეობა „ზელენოგორსკის“ მუშებს ვეხმარებოდით მოსავლის აღებაში.

კისლოვოდსკი.

ვ. ნედაშკოვსკი.

საბჭოთა კალათბურთის დიდ სპეციალისტს, სსრ კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ა. გომელსკის არაერთხელ უთქვამს, რომ სამამულო კალათბურთს გურამ მინაშვილის მსგავსი მაღალტექნიკური, მიზანსწრაფი და ენერგიული მცველი ერთი თუ ორი ჰყოლია. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ საბჭოთა კალათბურთის ვეტერანი ახლაც ძველებური შემართებით, ჭაბუკური ჟინით თამაშობს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მინაშვილი წლების მანძილზე იცავდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების ღირსებას. დღეს იგი საქართველოს გუნდთან ერთად მოსკოვშია და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში სასპარეზოდ ემზადება.

სურათზე: ბრნოს „სპარტაკსა“ და საქართველოს კალათბურთელთა ამას წინათ თბილისში ჩატარებული მატჩის შეხვედრის მომენტი. ბურთითაა გ. მინაშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფინალში გავიდნენ

ლენინგრადი, 9 ივლისი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით მოასპარეზე ჩოგბურთელთა წინასწარი ტურნირის ბოლოსწინა ტურში საქართველოს სპორტსმენებმა დაამარცხეს უზბეკეთის გუნდი — 5:4. მოგვყავს ცალკეული შედეგები: **ჭაბუკები.** ვ. აბაშკინი — ა. ციგერი 9:7, 6:1, თ. ქვირია — ი. კოროტკოვი 6:4, 6:2, ა. ორჯონიკიძე — რ. სულეიმანოვი 5:7, 1:6, **გოგონები.** ზ. კაცია — ლ. ქუვაკინა 2:6, 3:6, ო. პაპაიანი — ე. ფეოდორიდი 6:2, 6:3, ვ. უზუმ-პოლოსოვა — ტ. პოპოვა 6:2, 6:4; **წყვილები.** აბაშკინი — ქვირია — ციგერი — კოროტკოვი 3:6, 6:4, 7:9, პაპაიანი — უზუმ-პოლოსოვა — ფეოდორიდი — ქუვაკინა 6:1, 9:11, 3:6; **შერეული წყვილები.** პაპაიანი — აბაშკინი — ქუვაკინა — ციგერი 3:6, 6:3, 6:3.

ბოლო ტურში საქართველოს ჩოგბურთელებმა სძლიეს ლენინგრადელებს — 5:3. **ჭაბუკები.** აბაშკინი — ვ. დანილოვი 4:6, 6:1, 6:3, ქვირია — ს. პავლოვსკი 6:1, 5:7, 6:0, ორჯონიკიძე—ნ. ნეკრასოვი 3:6, 2:6; **გოგონები.** პაპაიანი — ნ. სმირნოვა 6:2, 7:5, უზუმ-პოლოსოვა — ნ. ბოდუნოვა 3:6, 6:3, 6:3, კაცია — ე. სტრელცოვა 2:6, 1:6; **წყვილები.** აბაშკინი — ქვირია — პავლოვსკი — ნეკრასოვი 3:6, 2:6, პაპაიანი — უზუმ-პოლოსოვა — სტრელცოვა — ბოდუნოვა 6:4, 6:3.

ამრიგად, ჩვენი ქვეჯგუფიდან ფინალში გავიდნენ ყაზახეთისა და საქართველოს ჩოგბურთელები.

ჯ. ენუქიძე.

ფეხბურთელებმაც დაიწყეს

ლენინგრადი, 9 ივლისი (ტელეფონით). დაიწყო ფეხბურთელთა წინასწარი თამაშები. პირველი ორი მატჩის შედეგები ასეთია: სომხეთი — ესტონეთი 1:0, ლატვია — ბელორუსია 1:0.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„დილა“ ლიდერთა ფერხულში

გუშინწინ გაიმართა „ბ“ კლასის IV ზონის გუნდების მორიგი ტურის მატჩები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

გორიდან...

ადგილობრივი „დილა“, რომელსაც ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვს ზონაში საქართველოს გუნდებიდან, განაგრძობს გამარჯვებით სვლას. გასულ ტურში გორელთა მეტოქე იყო რუსთავის „მეტალურგი“ და ამ მატჩმა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა.

გორელებმა თავიდანვე ხელთ აიღეს საერთო ინიციატივა. ბურთის გატანა გუნდს ბევრჯერ შეეძლო, მაგრამ მრავალი მომენტიდან შესვენებამდე მხოლოდ ერთი დამთავრდა გოლით: კაპანაძემ ზუსტად დაარტყა — 1:0.

შესვენების შემდეგაც „დილა“ განაგრძობდა შეტევას და ფუტკარაძემ მეორე ბურთიც გაიტანა — 2:0.

ფოთიდან...

ახალგაზრდა ფოთელმა ფეხბურთელებმა ბოლო ორ ტურში რამდენადმე გამოასწორეს თამაში. კვირას მათ თავიანთ მინდორზე მიიღეს გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — კისლოვოდსკის „სპარტაკი“ და დაძაბული ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს ფრეს — 0:0.

სოხუმიდან...

დინამოელთა მატჩი კიროვაკანის „ლორისთან“ საყოველთაო ყურადღების ცენტრში იდგა. „ლორი“ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელია, ხოლო სოხუმელები ბოლო ტურებში მოპოვებული ქულების წყალობით თანდათან უახლოვდებიან ზონის საუკეთესო გუნდებს. ამიტომ მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დინამოელებმა მოწინააღმდეგეს თავიდანვე აგრძნობინეს თავიანთი ძალა და აგრესიული განწყობილება. ჯერ კიდევ მე-3 წუთზე გადელია გავიდა ორ მცველში და მხოლოდ არაზუსტი დარტყმის გამო ვერ გაიტანა გოლი. მცირე ხნის შემდეგ გადელია ისევ საუკეთესო პოზიციაში აღმოჩნდა და... ნელა მიუგორა ბურთი მეკარეს. 23-ე წუთზე პარტნიორის მაგალითს მიბაძა უნანოვმა, ხოლო მალე „ლორის“ ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. პეტრიაშვილმა ბურთი დაარტყა ზუსტად იქ, სადაც მეკარე ... იდგა.

რასაკვირველია, მომენტები ჰქონდათ სტუმრებსაც და თავის გამოჩენა დაჭირდა სოხუმელთა მეკარე ჭეკუასაც, მაგრამ ტაიმი მთლიანად „დინამოსი“ იყო.

მხოლოდ შესვენების შემდეგ გაანადგეს დინამოელებმა თავიანთი საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა. ანგარიში გახსნა გადელიამ პეტრიაშვილის ზუსტი გადაცემის შემდეგ — 1:0.

70-ე წუთზე „ლორის“ მოთამაშეებმა ნამდვილი მუშტი-კრივი გამართეს მინდორზე, რისთვისაც ივლევსკელმა მსაჯმა სიმაგინმა მინდვრიდან გააძევა ერთ-ერთი ფეხბურთელი. კიროვაკანელები არ დამორჩილდნენ მსაჯის კანონიერ გადაწყვეტილებას და ათიოდე წუთით თამაში შეჩერებული იყო.

როგორც იქნა, მატჩი განახლდა, თუმცა კიროვაკანელები კვლავინდებურად განაგრძობდნენ მსაჯთან კამათს და სოხუმელებს საშუალებას არ აძლევდნენ შეესრულებინათ საჯარიმო დარტყმები. თამაშის მიწურულში იმავე გადელიამ კიდევ ერთხელ აიძულა „ლორი“ ცენტრიდან დაეწყო თამაში და დინამოელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 2:0.

აღსანიშნავია გადელიასა და წოწორიას კარგი თამაში.

შ. ჯალაღონია.

ბათუმიდან...

ქობულეთის „შუქურასა“ და მაიკოპის „უროჟაის“ თამაში დაიწყო იმით, რომ მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნაზაროვმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0. ეს არ იყო შემთხვევითი ეპიზოდი. „შუქურა“ უტევდა სწრაფად, ენერგიულად და „უროჟაის“ მცველებს ძალების სრული დაძაბვით უხდებოდათ თამაში. რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს პოლტაჩიდიმ და გაგნიძემ. 28-ე წუთზე ნაზაროვმა კვლავ ისარგებლა მეტოქის მცველების მიერ დაშვებული შეცდომით და შესვენებისთვის კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში გაგნიძემ და პოლტაჩიდიმ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რაც მესამე გოლით დამთავრდა მაიკოპელთა კარში.

„უროჟაი“ მხოლოდ ამის შემდეგ „გამოფხიზლდა“. სრული ძალით ათამაშდა თავდასხმის ხაზი, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო „შუქურას“ მეკარე ქობულაძემ.

სტუმრებმა მაინც შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა. ქობულეთელებმა გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში — 3:1.

ლ. ტრაპაიძე.

ჭიათურიდან...

აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მაღაროელი“ და გურჯაანის „ალაზანი“. ინიციატივა პირველივე წუთებიდან ჭიათურელთა მხარეს იყო, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს 2-3 კარგი შესაძლებლობა. და აი, მასპინძლებს „დაეხმარა“ „ალაზნის“ მცველი მელიქიძე, რომელმაც ხელით მოიგერია ბურთი თავისი კარის წინ. ეგოროვმა ზუსტად გამოიყენა პენალტი — 1:0.

მე-18 წუთზე ალაზნელთა კართან მორიგი შეტევა მიმდინარეობდა, სარჯველაძემ კარგად გადასცა ბურთი ეგოროვს და ამ უკანასკნელმა თავით გაიტანა მეორე გოლი — 2:0.

კარგა ხანს უხდებოდათ სტუმრებს თავის დაცვა, ხოლო მეკარე ჭელაშვილს „მაღაროელის“ თავდამსხმელთა მიერ დარტყმული ბურთების მოგერიება, მაგრამ შემდგომში გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა სტუმრებსაც ჰქონდათ. ერთხელ, მაგალითად, ჭიათურელთა კარი იხსნა ძელმა, სახიფათო ბურთი კარგად მოიგერია მეკარე უთმელიძემ...

მაინც, „მაღაროელმა“ შეძლო გამარჯვების შენარჩუნება — 2:0.

თ. შეყილაძე.

კიდევ 5 ქალაქიდან...

სხვა მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 1:0, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 4:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 2:0, „უროჟაი“ (დერბენტი) — „არაქსი“ (ერევანი) 2:0.

ასე დაწყვილდნენ

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების მეოთხედფინალური წყვილები ასე გამოიყურებიან: ცსკა — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „პახტაკორი“ — „ნეფტიანიკი“, „ჩერნომორეცი“ — სარატოვის „სოკოლი“, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი). მეოთხედფინალური თამაშები გაიმართება შუა აგვისტოში.

„ბ“ კლასი IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მახაჩყალა)	17	11	3	3	29—7	25
„სპარტაკი“ (კისლოვოდსკი)	17	9	6	2	17—8	24
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	17	9	5	3	26—8	23
„დილა“ (გორი)	17	10	3	4	24—13	23
„უროჟაი“ (კრიმსკი)	17	9	4	4	26—12	22
„ლორი“ (კიროვაკანი)	17	10	2	5	21—14	22
„დინამო“ (სოხუმი)	17	8	5	4	25—14	21
„მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი)	17	8	4	5	23—22	20
„ლერნაგორცი“ (კაფანი)	17	7	4	6	18—16	18
„არაქსი“ (ერევანი)	17	7	3	7	26—24	17
„მეტალურგი“ (რუსთავი)	17	6	5	6	17—19	17
„შუქურა“ (ქობულეთი)	17	6	3	8	24—23	15
„ენგური“ (ზუგდიდი)	17	5	5	7	14—30	15
„უროჟაი“ (დერბენტი)	17	5	4	8	12—14	14
„გურია“ (ლანჩხუთი)	17	6	2	9	20—23	14
„უროჟაი“ (მაიკოპი)	17	4	6	7	17—21	14
„სევანი“ (ოქტემბერიანი)	17	4	2	11	13—27	10
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	17	4	1	12	10—27	9
„კოლხეთი“ (ფოთი)	17	3	3	11	12—30	9
„ალაზანი“ (გურჯაანი)	17	2	4	11	11—29	8

გაზაფხულს ვერც სამი მერცხალი მოიყვანს

დამთავრდა საშუალო სპეციალური სასწავლებლების III რესპუბლიკური სპარტაკიადა. ტრადიციამ კვლავ გაიმარჯვა და ჩემპიონობა ზედიზედ მესამედ დაისაკუთრეს თბილისელმა მანქანათმშენებლებმა. II ადგილზეა თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებელი, III — თბილისისავე მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი. შეჯიბრებაში 14 კოლექტივი ჩაება. სარბიელზე პირველად გამოჩნდნენ მახარაძის ჩაისა და საგარეჯოს ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმების წარმომადგენლები.

მაგრამ, მოდით, ისევ მოედნებს დავუბრუნდეთ. 8 სახეობაში გამართული ასპარეზობა დაასრულეს მოჭიდავეებმა (ქართული ჭიდაობა), ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა...

„ჭიდაობა მიყვარს“...

ბესარიონ ჯინჯიხაშვილი მაინცდამაინც ენაწყლიანი მოსაუბრე ვერ გამოდგა. ეს კი მითხრა, ჭიდაობა ძალიან მიყვარსო. მართლაც, ჩინებული მოჭიდავე, სპორტის ოსტატი, ხალიჩაზე ერთბაშად გარდაიქმნა. ლამაზი ილეთი ილეთს მოსდევდა. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მესამეკურსელმა ჩემპიონობა დაისაკუთრა მჩატე წონაში.

კარგად გამოვიდა ბესარიონის თანაგუნდელი ბ. ბაგაური, რომელმაც ყველას აჯობა ქვემსუბუქ წონაში. ქართულ ჭიდაობაში ამ ტექნიკუმის გუნდმა გაიმარჯვა.

გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებსაც წონითი კატეგორიების მიხედვით: უმჩატესი: — გ. გამსახურდია (ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი), მსუბუქი — დ. დონღუზაშვილი (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), ქვესაშუალო — ო. ნათელაშვილი, საშუალო — ნ. ახალაური (ორივე — თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებელი), ქვემძიმე — ბ. ელერდაშვილი (საგარეჯოს ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი), მძიმე წონა — თ. ფრანგიშვილი (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი).

სასიამოვნო სიურპრიზი

წინასწარვე ძნელი სათქმელი იყო, ვინ გაიმარჯვებდა ფრენბურთელ ჭაბუკებში. უკვე პირველმა მატჩებმა ცხადყო, რომ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდის წევრები გ. ჭანტურიშვილი, გ. სანაკოევი, გ. გრიანი, ა. მარამზინი, ვ. სემიონოვი, ა. ამოევი და ვ. გალიუკი საუცხოოდ იყვნენ მომზადებული. მათ მოიპოვეს კიდეც I ადგილი. ამ ტექნიკუმის ქალიშვილებს კი დიდი ჯაფა დაადგათ: მათი ფინალური შეხვედრა თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის კოლექტივთან თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. ჩემპიონი მხოლოდ მესამე პარტიამ გამოავლინა. 15:11 — ასე გაიმარჯვეს მომავალმა მანქანათმშენებლებმა გადამწყვეტ პარტიაში.

ქუთაისის სამთო ტექნიკუმის ჭაბუკთა გუნდის II ადგილი სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. სიხარულით უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ რაიონების გუნდების თამაშის კლასი საგრძნობლად ამაღლდა.

არ ეყოთ... მოთამაშე

ასეც ხდება: თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის კალათბურთელი ქალიშვილები თავიდანვე დაწინაურდნენ, ანგარიშიც მათ მიჰყავდათ და... დამარცხდნენ. დამატებით დროში ისინი ოთხნიღა დარჩნენ და ამან გადაწყვიტა კიდეც ფინალური შეხვედრის ბედი. გაიმარჯვეს თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა — 44:40.

ჭაბუკებში ეს მესამედ მოიპოვეს ჩემპიონობა თბილისის იმავე სასწავლებლის წარმომადგენლებმა. არც გასაკვირია, — ამ ტექნიკუმში 14 პირველთანრიგოსანი კალათბურთელია, ბევრს II თანრიგი აქვს. გუნდში მოხვედრაზეც ბევრი ოცნებობს. ეს ხშირად საგონებელშიც კი აგდებს მწვრთნელს ე. მარტიროსოვს.

მერცხლებისა და ბაზების ამბავი

ეს სპარტაკიადა რიგით მესამე გახლდათ, მაგრამ გაზაფხულს თურმე ვერც სამი მერცხალი მოიყვანს. დღესდღეობით ტექნიკუმების ბევრ სპორტსმენს როდი შეიძლება მოვთხოვოთ მაღალი ოსტატობა. როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე კ. ჭელიძე ამბობს, ჯერჯერობით ბაზების საქმე კიდევ მოუგვარებელია. მაგალითად, დარბაზები არა აქვთ ბათუმისა და თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმებს. მაგრამ მდგომარეობა თანდათან უნდა გამოსწორდეს. მალე დაიწყება თბილისის მსუბუქი მრეწველობის, რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული, თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმების ახალი შენობების აგება. პროექტით ამ სასწავლებლებისთვის სპორტდარბაზებიცაა გათვალისწინებული. ახალი შენობა ექნება საგარეჯოს ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმსაც. მისი „სამფლობელო“ 5 ჰექტარზე გადაიშლება, ასე რომ, ადგილი სპორტბაზებისთვისაც ეყოფათ.

ვ. ბუაძე.

ნაკრები ემზადება

თბილისელ სპორტის მოყვარულებს 16 ივლისს მეტად საინტერესო სანახაობა ელით: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და საბერძნეთის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა ფეხბურთელები უკვე ჩამოვიდნენ თბილისში და „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე ემზადებიან დიღომში. ამ სურათებზე აღბეჭდილია ვარჯიშის ცალკეული მომენტები: ნაკრების უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი დავალებას აძლევს ცენტრალურ მცველ მ. ხურცილავას; ვეტერანი მეკარე ლ. იაშინი თავის გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდა ი. პშენიჩნიკოვს; ნაკრების წევრები მოთელვითი რბენის დროს — წინა პლანზე არიან ვ. ვორონინი და ე. სტრელცოვი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მწვრთნელები ამჟღავნებენ საიდუმლოებას

3. ფეხბურთელი და კოლექტივი

ზეპ ჰერბერგერი,
დასავლეთგერმანელი მწვრთნელი.

1936 წლიდან 1964 წლამდე გერმანიის (შემდგომში გფრ-ის) ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე იმყოფებოდა ზ. ჰერბერგერი. ეს თავისებური რეკორდია. მწვრთნელთა ცვლა თითქმის ყველა ქვეყანაში კანონადაა ქცეული, ბევრგან სხვა ქვეყნებიდანაც არ ერიდებიან სპეციალისტთა მოწვევასაც. ხოლო რაც შეეხება ჰერბერგერს, იგი აქტიურ სამუშაოზე იმყოფებოდა 67 წლის ასაკამდე და საკუთარი სურვილით გავიდა პენსიაში. მაგრამ უქმად იგი არც შემდგომში დარჩენილა და ფეხბურთს არ ჩამოსცილებია.

ახალგაზრდობის წლებში ჰერბერგერი თამაშობდა ბერლინის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში და გერმანიის ნაკრებ გუნდშიც შედიოდა. როგორც მწვრთნელმა, მან უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა 1954 წელს, როცა გფრ-ის ნაკრებმა, რომელიც მაშინ აუტსაიდერად ითვლებოდა, მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ეს წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა, ვინაიდან 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (შვეცია) ამავე გუნდმა დაიკავა IV ადგილი. მართალია, გფრ-ის ნაკრები დროდადრო წარუმატებლობას განიცდიდა, მაგრამ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებისთვის მწვრთნელს იგი სრულ მზადყოფნაში ჰყავდა ხოლმე. 1964 წლის ივნისში ჰერბერგერმა თავისი პოსტი გადააბარა ჰ. შოენს და მას შემდეგ ხშირად გამოდის პრესაში საინტერესო სტატიებითა და მოგონებებით.

თამაშის წარმატება მუდამ დამოკიდებული იყო და ახლაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სრულდება ორი მთავარი ამოცანა: ბურთების გატანა მეტოქის კარში და საკუთარი კარის უხიფათობის დაცვა. ჰკითხეთ უ. ზეელერს, ჰ. შეფერს, ფ. ვალტერს, პ. იანესს, ფ. სცეფანს — ჩვენი ნაკრების კაპიტნებს ბოლო 30 წლის მანძილზე და ისინი იტყვიან, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რათა შეგვექმნა გუნდი, რომელიც წარმატებით გაართმევდა თავს ორივე ამ ამოცანის შესრულებას: დაცვასაც და შეტევასაც.

ამ მიზნის შესრულებისას ჩვენ ყოველთვის ვეყრდნობოდით ცალკეულ მოთამაშეებს, მათ თავისებურებებსა და დამახასიათებელ თვისებებს და არა განყენებულ, გამოგონილ სქემებს.

მუდამ იყვნენ ისეთი მოთამაშეები, რომლებიც თავიანთ დროს წლებით და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტითაც უსწრებდნენ წინ და, შეიძლება ითქვას, კარს აღებდნენ მომავლისთვის. ბრწყინვალე გუნდები და ცნობილი სისტემები წარმოადგენენ ცალკეულ გამოჩენილ მოთამაშეთა ნამოქმედარს, ან „სათამაშო წყვილების" ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებას. ვინ დამარწმუნებს საწინააღმდეგოში: ბრაზილიელები ინგლისშიც პირველნი იქნებოდნენ, რომ ჰყოლოდათ 1958 წლის ნიმუშის დიდი და ზიტო, რა თქმა უნდა, პელეს დამატებით.

ძალზე შეშფოთებული ვარ იმით, რომ ვაბუნდოვნებთ ჩვენს ნათელ შეხედულებებს თამაშზე სხვადასხვა სისტემის ხელოვნურად გამოგონილი ქაოსით.

მძლავრი დაცვა ამჟამად გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს და, ეტყობა, მას მომავალშიც უნდა გავუწიოთ ანგარიში, მაგრამ ექსტრა-კლასის გუნდის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, თუ რამდენად ართმევს თავს იგი ორივე ამოცანას და მოქმედებს ერთი მთლიანი სახით. „იღბლის ცვალებადობა" ვერ ურყევს საფუძველს ასეთ გუნდს და ძალებისა და ამოცანათა მიზანდასახული, გონივრული განაწილება აქ ერთ მიზანს ემსახურება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გუნდი ყოველ საჭირო მომენტში თავს იცავს ყველა მოთამაშის ძალთა გამოყენებით, რათა შემდეგ წუთს სწრაფად გადავიდეს შეტევაზე და ისევ ყველა მოთამაშე ჩააბას მასში.

რა თქმა უნდა, თამაშის ასეთი სრულყოფა დამოკიდებულია გარკვეულ სისტემაზე, მაგრამ ის, რაც კარგია ერთისთვის, შეიძლება დიდხანს არ გამოადგეს მეორეს. საკითხს წყვეტს უნარი და არა სქემა. ცალკეულ ფეხბურთელთა შესაძლებლობანი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე რომელიც გნებავთ სისტემა, რაც უნდა გაზეპირებული იყოს იგი. ტალანტები მოდიან და მიდიან და იგივე შეიძლება ითქვას თამაშის სისტემებზეც.

გუნდის კლასის სხვა დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, თუ რამდენად დაუფლებულია იგი თავის სტილს. გუნდის შეთამაშება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ხშირად განსაზღვრავს მატჩის მთელ მსვლელობას. შეთამაშებული გუნდი აბსოლუტურად დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, სიძნელეები და წარუმატებლობანი მას არ აშინებს. მწვრთნელს შეუძლია იგი მინდორზე გაგზავნოს ასეთი დავალებით: ითამაშეთ თქვენებურად!

მაგრამ მე ვიცი შეთამაშებული გუნდებიც, რომლებიც მაინც ვერ გადიან უმაღლესი კლასის კატეგორიაში. მიზეზი სავსებით უბრალოა: ამ გუნდებს კარგად თამაში შეუძლიათ მხოლოდ განსაზღვრულ ტემპამდე. შეთამაშებულ გუნდს მხოლოდ მაშინ ძალუძს მიაღწიოს ნამდვილ მწვერვალებს, თუ შეუძლია მოქმედება თავისებურად და ამასთან — უსწრაფეს ტემპში. ჩვენი დროის ფეხბურთის უმაღლესი და მაქსიმალური ეფექტურობისთვის საჭიროა ორივე ამოცანის ოსტატური შესრულება: შეტევისაც და დაცვისაც. ყველაფერი უნდა ხდებოდეს ფეხბურთელთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, გამომდინარეობდეს შემუშავებული სისტემიდან. გუნდს უნდა შეეძლოს თამაში უმაღლეს ტემპში.

1962 წელს ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენ ერთ ჯგუფში ვთამაშობდით იტალიელებთან. თამაშის გეგმა ჩემთვის თავიდანვე ნათელი გახლდათ: საჭირო იყო დაცვის გაძლიერება. მაგრამ ამ დაცვას ჰყავდა ისეთი თავისუფალი მოთამაშე, როგორიცაა შნელინგერი. მას ევალებოდა არა მარტო ფლანგების დაცვა და დაზღვევის წარმოება, არამედ აქტიური თამაში თავდასხმაშიც. იუგოსლავიელებთან მატჩში იგივე შნელინგერი სისტემატურად მონაწილეობდა საიერიშო ოპერაციებში.

ჩილიში ჩვენ მეოთხედფინალში დავმარცხდით და როცა შინ დავბრუნდით, ზოგიერთი გაზეთი დაურიდებლად მაკრიტიკებდა ამ ტაქტიკისთვის. კრიტიკა კრიტიკად, ჩვენ კი მაშინვე შევუდექით სამზადისს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მაშინ წარმოებული დღიურები შორეულ წარმოდგენას მაინც იძლევა ჩემი მუშაობის მოცულობაზე იმ დღემდე, როცა უფროსი მწვრთნელის პოსტი გადავაბარე შოენს.

ამ დღიურებიდან, მაგალითად, ნათლად ჩანს, რომ 1964 წლის საერთაშორისო მატჩში შვეიცარიისა და გფრ-ის ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს შორის, მე საგანგებოდ ვადევნებდი თვალს ბეკენბაუერს. თვით მას, ალბათ, კარგად ახსოვს, რომ თამაშის შემდეგ მე უცერემონიოდ მოვთხოვე მას მეტი ინიციატივა გამოეჩინა მინდორზე, მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი მდიდარი შესაძლებლობები. დღიურში წერია, რომ ბეკენბაუერს თამაშის დროს ხანგრძლივი პაუზები და გამოთიშვა ჰქონდა.

ვნატრობდი, რომ ინგლისში ბეკენბაუერს ეთამაშა ფ. ვალტერთან ერთად. ეს იქნებოდა შესანიშნავი წყვილი, ოცნების ფრთაშესხმა. თავისი გარღვევებისთვის ბეკენბაუერს ჭირდება ე. წ. „კედლები": გათამაშებული ბურთი მან მაშინვე უნდა მიიღოს უკან. ინგლისის მინდვრებზე მას ასე ეთამაშებოდნენ ჰალერი და ზეელერი, მაგრამ ჰალერი გადაცემის შემდეგ ხშირად ეთიშებოდა თამაშს და ვერ ასწრებდა თავის ადგილზე დაბრუნებას, ზეელერის ძლიერი მხარე კი საკუთარი ინიციატივის გამოჩენა და ფლანგებზე მონაცვლეობაა. აი, ფ. ვალტერი კი ყველაფერს ახერხებდა. მას შეეძლო „კედლის" როლიც შეესრულებინა ბეკენბაუერისთვის ისე, რომ ეს არ დამჩნეოდა მის საკუთარ თამაშს.

შეტევა და დაცვა აუცილებლად განაპირობებენ ერთმანეთს. ერთი ამოცანის შესრულება უნდა ემსახურებოდეს მეორესაც. თუ ფეხბურთელი კარგად ფლობს ერთსაც და მეორესაც, ეს ნიშნავს, რომ იგი სწორ გზაზეა. სწორედ აქედან გამომდინარეობს საწვრთნელი პროგრამის ჩვენი პრინციპები:

1. მივაღწიოთ თვითეული მოთამაშის შესაძლებლობათა მაქსიმუმს;
2. ცალკეული მოთამაშეები გავაერთიანოთ საბრძოლოდ განწყობილ, მეგობრული სულისკვეთებით გამსჭვალულ კოლექტივად;
3. მოვეხმაროთ ყოველ მოთამაშეს გამოიმუშაოს საჭირო სისწრაფე, გამძლეობა და ძალა, რათა მუდამ შეძლოს იმოქმედოს თავისებურად, ყველაზე უფრო ძნელ პირობებშიც კი.

• • •

სურათზე: ზ. ჰერბერგერი უყურებს თავისი გუნდის თამაშს.

მსოფლიო რეკორდები

სანტა-კლარა (კალიფორნია), 8 ივლისი. აქ მსოფლიოს 3 რეკორდი დაამყარეს ამერიკელმა მოცურავეებმა: 400 მ თავისუფალი სტილით 17 წლის მ. სპიტცმა 4 წუთსა და 8,8 წამში გაცურა და დაიბრუნა რეკორდი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ წაართვა მას ფრანგმა ა. მოსკონიმ, ხოლო პამელა კრუზმა ამ მანძილზე იმავე სტილით ცურვაში თავისივე მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა — აჩვენა 4.36,4. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ბრასის სტილით ცურვაში კლაუდია კოლბმა გააუმჯობესა მისივე მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.27,5. მან, აგრეთვე, გაიმეორა გ. პროზუმენშჩიკოვას მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე ბრასით ცურვაში.

ლოს-ანჯელოსი, 9 ივლისი. კანზასის შტატის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 20 წლის ჯ. რაიანმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 1.500 მეტრზე რბენაში — 3.33,1. მას ეჯიბრებოდა ცნობილი კენიელი მძლეოსანი კიპჩონგ კეინო, რომელიც რეკორდსმენს საგრძნობლად ჩამორჩა.

პრეზიდენტისა და სპორტსმენის საუბარი

ფინეთის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა მიიღო ცნობილი ფინელი მძლეოსანი პაავო ნურმი, რომელსაც ამას წინათ 70 წელი შეუსრულდა. შემოკლებით ვბეჭდავთ პრეზიდენტისა და მორბენლის მეგობრულ საუბარს, რომელიც სრულად გამოაქვეყნა გაზეთმა „ფოლკსშტიმემ".

კეკონენი: ყველა სპორტსმენს თავისი იდეალი აქვს და თავისი პროტოტიპი ჰყავს... შენ ვის მიბაძვას ცდილობდი?

ნურმი: რა თქმა უნდა, იდეალები ჩემს დროსაც გვყავდა. მაშინ ტურკუში რამდენიმე ჭაბუკი ფსონით იწერდა სპორტულ გაზეთს და ყველა (მათ შორის მეც) აღტაცებული იყო ინგლისელი შრუბის წარმატებით. მოგვწონდა იოჰანეს კოლეჰმაინენი და მისი უსწრაფესი სარეკორდო რბენა სტოკჰოლმში.

კეკონენი: გახსოვს პარიზის კროსი თაკარა მზეზე? როგორ გაიმარჯვე მაშინ, როცა მორბენლების უმეტესობამ შეჯიბრება მიატოვა?

ნურმი: გავიმარჯვე მხოლოდ კარგი სპორტული ფორმის წყალობით. ეს ჩემი საუკეთესო წლები იყო. თუმცა, მაშინ რომ წვრთნის ყველა საიდუმლო მცოდნოდა, 1920-1926 წლებში კიდევ მეტ წარმატებას მივაღწევდი.

კეკონენი: რაც შეიძლება სწრაფად რბენა დისტანციის პირველ ნახევარზე — აი, ეს იყო მუდამ შენი ტაქტიკის მთავარი ელემენტი. რატომ?

ნურმი: იმიტომ, რომ ფინიშის სწორზე მუდამ მეშინოდა, ვღელავდი და ვერ ვანგარიშობდი, როდის იყო საჭირო ბიძგი. კარგი სტარტის შემდეგ კი მეტოქეებს ჩამოვიტოვებდი და გული საგულეს მქონდა.

კეკონენი: რა აზრისა ხარ დღევანდელი ახალგაზრდობის შესაძლებლობებზე?

ნურმი: სამწუხაროდ, ახლა ახალგაზრდობას მანქანებით სეირნობა ურჩევნია სირბილს. მძლეოსნობის მომავალი ბურუსით მოცული მეჩვენება. შეუპოვრობა და უკეთესი შედეგების მიღწევის სურვილი სპორტში აღარ მატულობს.

კეკონენი: რით უნდა აიხსნას შენი ცნობილი სიტყვაძუნწობა?

ნურმი: ხასიათით. პრესისთვის განცხადებების მიცემა საერთოდ არ მიყვარს. მე რომ მკითხოთ, ფინეთში, მაგალითად, სულ ორი კარგი, კეთილსინდისიერი ჟურნალისტია.

კეკონენი: ვინ მიგაჩნია დღეს საუკეთესო მორბენლად?

ნურმი: აღტაცებული ვარ ერთ მილზე მორბენლებით. თუ ფოტოსურათების და შედეგების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ჩემი აზრით, მათგან საუკეთესოა ჯიმ რაიანი.

კეკონენი: რა აზრისა ხარ იმ პირობებზე, რომლებშიც მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილეებს მოუხდებათ ასპარეზობა?

ნურმი: მე ცოტა გამოცდილება მაინც მაქვს მთის პირობებში ასპარეზობისა. მაგონდება, მაგალითად, ლოს-ანჯელოსი, გრანდ-კანიონი. ეს თითქმის მეხიკოს სიმაღლეა. ვარჯიშის დროს ოფლიც კი არ მოგვსვლია, შეჯიბრება კი ძალიან დაძაბული იყო, დიდ ენერგიას მოითხოვდა და ცუდი შედეგების მეტი არაფერი მოუტანია.

თასი — „ვიტორიას"

ლისაბონი, 10 ივლისი. გუშინ აქ შედგა პორტუგალიის თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში კოიმბრას „აკადემიკასა" და სეტუბალის „ვიტორიას" შორის. მატჩის ბედი გადაწყვიტა „ვიტორიას" თავდამსხმელის ჟოაოს მიერ დამატებით დროში გატანილმა ბურთმა — 3:2.

დასავლეთი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი...

▲ **პარიზი.** საფრანგეთის „ანჟესთან" პორტუგალიის „ბენფიკას" ამასწინანდელ შეხვედრაში (ერთადერთი გოლი გაიტანა ეუსებიომ) ოპერაციის შემდეგ პირველად ითამაშა ტორესმა.

▲ *მადრიდი.* მსუბუქი წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა ადგილობრივი პ. კარასკო. მე-7 რაუნდში მან ნოკაუტში გაისტუმრა გროგი (დანია).

▲ **ბელგრადი. იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ მკაცრი ვეტო დაადო მატჩების ტელეგადაცემებს. ამიერიდან ტელევიზია ფედერაციის უსანქციოდ ვერც ერთი მატჩის რეპორტაჟს ვერ მოაწყობს.**

▲ ლისაბონი. ადგილობრივი „ბენფიკას" და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი სიმოესი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს: იგი გაზით მოიწამლა. უკვე გონებადაკარგულს, შემთხვევით მიუსწრო თანაგუნდელმა ჰენრიკმა და საავადმყოფოში გააქანა.

სხარტი ამბები

● **ტალინი**, 9 ივლისი. აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება მოტოკროსში. 175 კბ სმ კლასის მანქანებით ასპარეზობა მოიგო ე. ბორისენკომ (მოსკოვი). 350 კბ სმ სპეციალური სპორტული მანქანებით შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდა მოსკოველ ნ. სევასტიანოვს, ხოლო ამავე კლასის სერიული მანქანებით ასპარეზობა მოიგო ვ. გენერალოვმა (ლენინგრადი).

● *ბუქარესტი*, 9 ივლისი. აქ გაიმართა ველომრბოლელთა საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე „ბუქარესტის თასის" მოსაპოვებლად. შესანიშნავად იასპარეზეს საბჭოთა ველოსიპედისტებმა. სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ვ. ლოგუნოვმა ადგილობრივი სტადიონის რეკორდი დაამყარა 1 კილომეტრზე გიტში — 1.10,1. მანვე 1 ადგილი დაიკავა სპრინტში. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში გაიმარჯვეს ჩვენმა ველოსიპედისტებმა (შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 6 ქვეყნის სპორტსმენები).

მომავლის კალენდარი

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავის ამასწინანდელ კონგრესზე (ბერლინი) დაამტკიცა მომავალი საერთაშორისო ტურნირების კალენდარი.

● **ევროპის** ვაჟთა 1969 წლის ჩემპიონატი გაიმართება ნეაპოლში (ფინალში 16 გუნდის ნაცვლად ითამაშებს 12). 2 წლის შემდეგ ევროპული ფორუმის მონაწილენი ერთმანეთს შეხვდებიან გფრ-ის ქალაქებში, ფინალური მატჩები კი მიუნხენში გაიმართება.

● **კონტინენტის** იუნიორთა მორიგი ჩემპიონატების განრიგი ასეთია: ჭაბუკები — 1968 წელს ესპანეთში, გოგონები — 1967 წელს სარდინიაში, 1969 წელს კი გფრ-ში.

● **ევროპის** ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი გაიმართება ნეიტრალურ მოედანზე.

● **დაზუსტდა** ქალთა ევროპული პირველობის (1968 წ., სიცილია) საკვალიფიკაციო ჯგუფების შემადგენლობა: I ჯგუფი — გფრ, უნგრეთი, დანია, ისრაელი (შეხვედრები ჩატარდება გფრ-ში); II — საფრანგეთი, ბულგარეთი, ინგლისი, შვეიცარია (საფრანგეთში); III — პოლონეთი, შვედეთი, ბელგია (პოლონეთში). საკვალიფიკაციო მატჩებისგან თავისუფალი არიან სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, რუმინეთის, ჰოლანდიის, იუგოსლავიის და იტალიის გუნდები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 2 უე 03299